სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 ნოემბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/149

„ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (N1510771, 04/11/2025 წ.) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართის **(წესის) 14 მუხლის** („მუხლი 14. **სტუდენტის შეფასების წესი“**) **14.13. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„14.13. **საგნის ლექტორი** სტუდენტის შეფასებებს სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით **ასახავს** სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ **სისტემაში** (შეფასების უწყისში), ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

2. წინამდებარე დადგენილებით „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლის 14.13. პუნქტში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცდეს **„ბსუ-ს სტუდენტთა შეფასებების ბსუ-ს პორტალზე ასახვის წესი“**.

3. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით, იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდეს **კოდიფიცირებული** „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებში“; სტუდენტთა გზამკვლევში) და ბსუ-ს პორტალზე.

4. კოდიფიცირებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ითარგმნოს ინგლისურ ენაზე (არსებულ თარგმანში ჩაემატოს ცვლილების თარგმანი, იურიდიულ დეპარტამენტთან კოორდინირებით) და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ინგლისურენოვან გვერდზე, ველში „იურიდიული ცნობარი“).

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს,

იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**